გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთი „ივერია“ თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

**შიო ალექსის ძე ჩიტაძე** გულითადის მწუხარებით აცნობებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძმისა თვისისა **გრიგოლ ალექსის ძის ჩიტაძისას**, სთხოვს დაესწრნენ გამოსვენებას მიცვალებულის გვამისას მიხეილის საქალაქო ქსენონიდამ, დღეს, ოთხშაბათს, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 12 თებერვალს, ქართულ დრამატ. საზ. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

დრამა 5 მოქმ. თავ. დ. ერისთავისა.

სვიმონ ლეონიძის როლს შეასრულებს **კ. ყიფიანი.**

ლევან ხიმშიაშვილისას **ვ. ალექსი-მესხიშვილი.**

ადგილების ფასი მომატებულია

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

თეატრის ადმინისტრაცია უსამართლო საყვედურის ასაცდენად ამით აუწყებს ყველას, რომ ბილეთები ამ წარმოდგენისათვის ჩაბარება ორსავე კასას გასასყიდად კვირას, დღისით 12 საათიდგან. მსურველთ სთხოვენ დროზედ შეიძინონ ბილეთები, რათა წინანდებურად ჩარჩენს არ ჩაუვარდეთ ხელში.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 9 თებერვალს, ტფილისის სობრანიაში საცეკვაო საღამო იყო სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. სობრანიის დარბაზში დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ერთიანი შემოსავალი 2,000 მანეთამდე იყო.

*** ფოთიდგან იწერებიან, რუსეთის შიდა გუბერნიებში გაგზავნილი სიმინდი დამპალი და გაფუჭებული აღმოჩნდაო. მიზეზი ის არის, რომ დასავლეთს საქართველოში წლეულს დიდ-ძალი სიმინდი მოვიდა და საზღვარ გარედ გატანის აკრძალვის გამო სიმინდი გარედ ეყარათ და დანოტიოვდა. დიდ-ძალი გაფუჭებული სიმინდი რუსეთიდგან უკან დაუბრუნებიათ. გლეხკაცობა ამის გამო ძლიერ დაზარალებულია.

*** ამ დღეებში დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს შემდეგი ნომერი გაზეთის „მეურნე“-სი. ამ ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, 2. სამეურნეო სკოლის შესახებ, 3. ახალი სამეურნეო საზოგადოება, 4. ფილოქსერა ჩვენში, აგრონომის თ. ნ. ანდრონიკაშვილისა, 5. პრაქტიკული დარიგება ფუტკრის გამრავლების შესახებ, არჩ. დარეჯანაშვილისა, 6. ვაზი და მისი მოვლა, თ. ვლ. ჯანდიერისა. შემდეგ გაზეთის ბოლოში გადაბეჭდილია ორი მოწერილი ამბავი ჩვენის გაზეთიდამ: ერთი თ. ზ. ანდრონიკაშვილის აზრის შესახებ, რომ დაარსდეს კახეთში საზოგადოება ღვინის დაყენებისა და გასყიდვისა და მეორე—აზრი თ. ლ. ჯანდიერისა საზოგადო სასოფლო ვენახის დაარსების შესახებ საგარეჯოში, წარმოთქმული მის მიერ ზემოხსენებულ სოფლის მკვიდრთა ყრილობაზე. სულ ბოლოს ნომერში სხვა-და-სხვა ახალი სამეურნეო ამბებია დაბეჭდილი.

ამ ბოლო დროს გაზეთი ბევრად ვრცელ ნომრებად გამოდის და შინაარსიც მისი დიდად მრავალ-გვარია და ფრიად საინტერესო...

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გორის მაზრის უფროსად განუზრახავთ დანიშნონ პოლკოვნიკი თ. რევაზ შალვას-ძე ერისთავი, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად თორმეტი წელიწადი ასრულებდა გორის მაზრის უფროსის თანამდებობას. ეხლანდელი მაზრის უფროსი-კი კაპიტანი განსევიჩი, როგორც ამბობენ, დანიშნულ იქნება საერო დარაჯთა რაზმის ინსპექტორად.

*** ჩვენ მივიღეთ დაბა ზესტაფონიდამ ბ-ნ თ. ხუსკივაძისაგან 42 მანათი, რომელიც შეუგროვებია იქაურს საზოგადოებაში იმ აზრით, რომ ეს ფული გარდაეცეს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს რედაქტორს და ამ ფულით ეგზავნებოდეს რამდენსამე ქართულს სახალხო და სამრევლო სკოლას ზემოხსენებული ჟურნალი. ამ სკოლების სია და ადრესები მათი ფულთან ერთადვე მივიღეთ კუთვნილებისაებრ გარდასაცემად.

*** ს. ქარელი (გორის მაზრა): აი დაწვრილებით ის ამბავი, რომელიც ამას წინად მოხდა აქ და რომელიც გაზეთებში-კი ვერ იყო სიმართლით აწერილი: თ. მიხეილ ერისთავი სადილად მიწვეული იყო ს. ქარელში ა. ნ. ციციშვილთან; შემდეგ სადილისა ერისთავი შეჯდა ცხენზე და გაემგზავრა ს. ზემოხვედურეთს თ. კირილე ციციშვილთან; როდესაც ერისთავი გზას გაუდგა, იმ დროს ქარელშივე უცბად მჭედლიშვილმა გამოაქანა „სანკა“ და კინაღამ ცხენიანად გაატანინა. ეს ეწყინა ერისთავსა და ორიოდე მათრახი გადააწნა მჭედლიშვილსა. ამ სცენას უყურეს თედოზაშვილმა და ქვრივიშვილმა, მივიდნენ და უთხრეს მჭედლიშვილსა: „რა ნება აქვს, რომ გცემსო, წავიდეთ დავეწიოთ და ვაჩვენოთ, ცემა როგორც უნდაო“. მჭედლიშვილი დასთანხმდა ამხანაგების რჩევასა, ჩაისხა „სანკაში“ და გამოუდგნენ ერისთავს; დაეწივნენ ქარელის ნაპირას, ტროპაიძისა და აბულაძის დუქნებს შუა; ერისთავს თავში კეტი დაარტყე,ს ორს ალაგას გაუტეხეს და სცემეს კიდეც. ვიღამაც შეატყობინა ა. ნ. ციციშვილს, რომლის სახლშიაც მ. ერისთავი იყო სადილად. ციციშვილის სახლში სხვა ახალგაზრდა ციციშვილებიც იყვნენ მიწვეულნი; გაიგეს თუ არა, ერისთავსა სცემენო, გამოცვივდნენ ხსენებულნი ახალგაზრდანი ერისთავის მისაშველებლად, მაგრამ სანამდის ციციშვილები ერისთავს მიეშველებოდნენ ზემოხსენებულებმა თავს უშველეს. ციციშვილებს რომ მიესწროთ, თქვენი მტერი, დიდი უბედურება დატრიალდებოდა. მესამე დღეს შემდეგ ამ ამბისა ქარელში მობძანდა ხიდისთავის ბოქაული საქმის გამოსაძიებლად. პირველად მჭედლიშვილმა, საზანდრიშვილმა (?) და ქვრივიშვილმა უარი სთქვეს, ჩვენ არ გვიცემიაო; მაგრამ ბოლოს გამოსტყდნენ, ჩვენა ვცემეთო. სამნივე ხიდისთავის ბოქაულმა, ბ-ნმა დეკანოზიშვილმა, მაშინვე დააპატიმრა.

*** იქიდამვე: ამ თთვის პირველს რიცხვებში თ. ივანე და ირაკლი ციციშვილებს უნახავთ, რომ ორს ძმას ალაიბეგიშვილებს მოჰქონებიათ ტყის ხეები და ნება-რთვა-კი არა ჰქონიათ ციციშვილების სატყეო კანტორიდგან მიცემული ხეების გამოტანისა; ალაიბეგიშვილებს თ. თომა ციციშვილისაგან აუღიათ ბარათი იმისი, რომ ნება გვაქვს ხეები გამოვიტანოთ ამის საკუთარის ტყიდამაო. როგორც ამბობენ, თომა ციციშვილის ტყიდამ არის გამოტანილი და არა საერთო საციციანო ტყიდამა. ივანე ციციშვილი, როგორც საციციანოს ტყის ზედამხედველი არ ანებებდა თურმე ალაიბეგიშვილებს ტყის ხეებს; ამასობაში ასტყდა დიდი ჩხუბი. ივ. ციციშვილს ხმალი ამოუღია, ხოლო კუწნა ალაიბეგიშვილს ცული მოუღერებია და ერთმანეთს გამოსდგომიან; ირაკლი ციციშვილი მიჰვარდნია გასაშველებლად; კუწნა ალაიბეგიშვილის მამას ჰგონებია, რომ ეს არის ძმას მიკლავენ სწორედაო, მიჰპარვია ირაკლი ციციშვილს და ხანჯლით თავი გაუჩეხნია. ივანე ციციშვილისათვისაც ძმებს ქვები დაუშენიათ და კინაღამ ისიც არ მოუკლავთ.

*** გაზ. „Рус. Вѣд.“-ი სწერს, 31 იანვარს უმართებულესის სენატის პირველს საზოგადო კრებას განსახილველი ჰქონდა, სხვათაშორის, საჩივარი ტფილისის ქალაქის მოურავისა, რომელიც უჩივის ტფილისის საქალაქო საქმეთა საკრებულოს ქალაქის სასწავლებლების მართვა-გამგეობის შესახების გარდაწყვეტილებისათვის.

*** ამ დღეებში ტფილისის მუზეუმში ბორჩალოს მაზრის სოფ. კოსტანიდგან ქართული წარწერიანი ნაპოვნი ქვები კავკასიის მუზეუმში ჩამოუტანიათ („Нов. Обоз.“).

*** გაზეთს „Каспiй“-ს სწერენ პეტერბურგიდგან, სახელმწიფო საბჭოში წარდგენილია კანონ-პროექ-

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

შეშლილი ნახტომი.—ჩვენი ავ-კარგიანობა.—ვისია სარბიელი.

ძნელია, როდესაც კაცს ნახტომი შეეშლება ცხოვრების სარბიელზე და ვერ მიაღწევს გულის-ნადებს, ვერ გაიტანს სვეს ბოლომდე. ამისთანა კაცს მარტო ის სინანული-კი არა სწამლავს, რომ უქმად გაფლანგა თავისი მხნეობა და ტყუილად დახარჯა შრომა. ერთი ორად იტანჯება უფრო იმითი, რომ მოძმეთა შორის თითით საჩვენებელი გამოდის. მერე ხომ მოგეხსენებათ ჩვენი მოძმე: ოღონდ საბუთი მიეცი, რომ შენი ყოფა-ცხოვრება მასლაათის საგნად გაიხადოს, თორემ მეტი არა უნდარა. რაც უფრო მწარეა შენი თავგადასავალი, იმდენად უფრო მომეტებულის სიმხიარულით იქარვებს იგი გულს შენის ამბებით და შემაქცევარი ლათაიები, გულ-გასაყოლებელი ჭორები გააქვს და გამოაქვს ასსა და ათასსა. ნუღარა გაქვს იმედი, რომ შენის უბედურებით ვისმე დაეწვას გული, ვისმე აღეძრას სურვილი აღმოგიჩინოს ვაჟკაცური დახმარება. ერთის სიტყვით, გადაგიბრუნდა ფეხი და—მშვიდობით...

თუკი ასეთს უიმედო ყოფაში უნდა ჩავარდეს ჩვენში კერძო კაცი, ახლა წარმოიდგინეთ, რამდენად სასოწარკვეთილი უნდა შეიქმნეს ამ წუთი-სოფელში ერი, რომელსაც აქეთ-იქითგან ყბა-დაღებული ვეშაპები ჰდარაჯობენ და გაფაციცებით ელიან—აცა, როდის წაბორძიკდება, როდის დაუსხლტება ფეხი, რომ მივცვივდეთ და გადავყლაპოთ სულიან-ხორციანადაო.

ასეთი მადა აქვს გაღვიძებული ყოველს ერს თვის სამეზობლო ერის მიმართ და მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს, რომ ეს მადა არ აკლიათ თვით უგანათლებულეს ევროპის ერთაც-კი. რაკი ხალხი ერთი წაიტყუვა ისტორიის ტალღებმა, ნუღარა გგონიათ, რომ იმას საშველად მიაწოდოს-ლა ვინმე გარეშემ ხელი. არც ერთს ხალხს, არც ერთს სახელმწიფოს არ მიაჩნია სათაკილოდ, რომ სხვა ხალხთა უბედურება გამოიყენოს თავის სალხენად. ეს-კი არის, რომ ეხლანდელი განათლება იმოდენა ხერხსა და თვალთმაქცობას იძლევა, რომ გამარჯვებულს ადვილად შეუძლიან მოკეთედ მოგაჩვენოს თავი და ტკბილის ენით გამოგაცალოს ქვეშიდგან ხალიჩა. ამის შემაძრწუნებელს მაგალითებს თქვენა ჰხედავთ ყოველ დღე: აგერ ბალკანეთის სლავიანები, რომელთაც მსუნაგ კატასავით თავს დასტრიალებს ავსტრია და ხან ერთს გადუქნევს ალერსიანად კუდსა და ხან მეორეს, რომ მიიტყუვილოს თავისკენ და მერე გადაჰკრას მძლავრი კლანჭები, როგორც ამ რამდენისამე წლის წინად ბოსნია-ჰერცოგოვინას მოექცა. აიღეთ აფრიკის სახელმწიფონი, რომელთაც ასეთის სასაცილო თავაზიანობით სწეწენ და ჰგლეჯენ აქეთ თავისუფალი საფრანგეთი, იქით განათლებული ინგლისი და შემდეგ მათ მიერ ბოლოზე მოგდებული საწყალი ბერი ქედანი—ოსმალეთი. ამერიკის მკვიდრნი ხომ სწორედ ჯვართ-ცმულნი არიან შეერთებულ შტატებისა და სხვა სახელმწიფოთა მიერ.

განათლებულმა გამარჯვებულებმა იციან, რომ უბედურებაში ჩავარდნილს ერს პირველად უნდა ჩამოაცალონ მეთაური კაცები, რომელთა შორის მოიპოვება ცოდნა მთელის ერის ავ-კარგიანობისა და რომელთაც შეუძლიანთ ინაღვლონ საშუალებანი ხალხის გამობრუნებისა და ხსნისა. რაკი მეთაურებს დააშორებენ ხალხს, უკანასკნელი ცხვრის ფარასავით დაიქსაქსება და შემდეგ რომელიც გინდა, წამოაქციე და ზვარაკად მიუტანე შენს სიხარბეს და გაუმაძღრობას.

**

მაგრამ სჯობიხ ამ ხიფათიან პოლიტიკას თავი დავანებოთ და ისევ ჩვენს ავ-კარგიანობაზე ვილაპარაკოთ. პირველი, იმიტომ რომ „სხვათა ჭირი—ღობეს ჩხირი“ უნდა იყოსო ჩვენთვის, როგორც ჭკვიანი კაცები გვეუბნებიან, და მეორე კიდევ იმიტომ, რომ „ნუ დასცინი სხვასაო—გადაგხდება თავსაო.“ სხვების გაკილვა ჩვენ ხელს არ მოგვცემს.

რომ თვალი გადავავლოთ ჩვენს ცხოვრებას, ყველაზე საყურადღებო ამბად უნდა ჩავთვალოთ გურიის მოუსვენარი ყოფა-მდგომარეობა ამ ბოლოს დროს. რასა ვხედავთ და რის მოწმენი ვართ დღეს ჩვენის ქვეყნის ამ ერთს საუკეთესო კუთხეში? გურიაში გაყვანილია რკინის გზა. გურიას ცხვირ-წინ გაშლილი აქვს ვრცელი მოედანი შავის ზღვისა, რომელზედაც შეუძლიან ინავარდოს ადამიანის მხნეობამ, რამდენიც-კი სულსა და გულს ენატრება. გურია შემკულია ყოველგვარის წყალობით ბუნების მიერ. გურია დალოცვილი და

ტი, რომლის ძალითაც, მთა-მადნის მრეწველებს უნდა დაავალონ, რომ თანამშრომლებად და მრეწველებად მხოლოდ უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი მიიწვიონ ხოლმე.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ს სთხოვენ: ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ზოგს ძველს გამოცემაში რამდენიმე ფურცელი ამოხეულია, სადაც დაბეჭდილი ყოფილა წერილები შესახებ კავკასიის ისტორიისა, მაგალითად, ფურცლები აკლია გაზ. „Кавказъ“-ის 1850 წლის და „Тифл. Вѣстн.“-ის 1875 წლის ნომრებს. საჭიროა, რომ ბიბლიოთეკის მმართველობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

*** ტფილისელს ინჟენერებს, განსაკუთრებით ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ მოსამსახურეთ, განზრახვა აქვთ, ტფილისში საზოგადოება დააარსონ, რომელსაც საგნად ექნება სხვა-და-სხვა სატეხნიკო საქმეების კვლევა-გამოძიება და წარმოება. („Кавк.“)

*** გაზეთს „Кавказъ“-ს ატყობინებენ, რომ სოფ. მანავში, ტფილისის მაზრაში, რაღაც ყელის ავადმყოფობა გავრცელებულა ყმაწვილებისა, სულ მოკლე ხანში 15 გამხდარა ავად და 6 ყმაწვილი გარდაცვლილა.

*** თებერვლის 10 ვილჰელმ ბერემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ წუხელ ნიკოლოზის ქუჩაზე ჩემის სადგურის აივნიდგან 25 მან. ღირებული კაცის პალტო და 15 მან. ღირებული ქალის პალტო მომპარესო.

*** ამავე დღეს სუმბათ ავეტისოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ რიყეზე ქარხანა გამიტეხეს და 10 მ. სადურგლო იარაღი მომპარესო.

*** 9 თებერვალს პოლიციის პირველს ნაწილში, ჯვარის მახლობლად, ვიღაც გზად მიმავალი უეცრად გარდაიცვალა. მიცვალებულის გვამი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## მთავრობის განკარგულებანი

თანახმად თხოვნისა სამსახურიდგან დათხოვნილ იქნა 1 ოლქის აქციზის ზედამხედველის თანაშემწე თავ. ლევან ნიკოლოზის ძე დადეშკელიანი.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობისაგან VII ოლქის აქციზის კონტროლერი თავ. დიმიტრი გაჩნაძე და ჩარიცხულ იქმნა აქციზის მმართველობის შტატ გარეშე მოხელედ.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 10 თებერვალს

ამ კრებაზე ბაასი გამოიწვია ანგარიშმა შესახებ მილის-წყლის სახელოსნოს მოქმედებისა 1890 წლის განმავლობაში. ხმ. ფავნელიშვილმა შეჰნიშნა, რომ ანგარიში ვერ არის სათანადოდ შედგენილიო, შემოსავალი და წმინდა მოგება არ არის ჯეროვანად შეფარდებული გასავალთანაო და საზოგადოდ ანგარიშში ბევრი ისეთი მუხლია შეტანილი, რომ კარგი ბუხგალტერიც დაიბნევა, არა თუ წევრნი საბჭოსი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საქმე საზოგადო ციფირებთანო. ამისთანა ანგარიში ისე უნდა შესდგეს, რომ არც ერთ ხმოსნისთვის გაუგებარი და საძნელო შიგ არა იყოს-რაო. ამიტომ საჭიროა ეს ანგარიში გარდაეცეს განსახილველად ჯერ სპეციალურს კომისიას და მხოლოდ შემდეგ წარედგინოს საბჭოსაო. ამ ნათქვამს ხმოსანმა ზუბალოვმა დასძინა, რომ მაგ ანგარიშისას ას ხმოსანში ოთხმოცდა-ცხრამეტი ვერას გაიგებსო, და ამიტომ უნდა უეჭველად გარდავცეთ კომისიასაო. საბჭომ გარდასცა კომისიას, რომლისთვისაც ამოარჩია ხმ. კარაპეტოვი, ფავლენიშვილი, ბოლგარსკი, ვეისენგოფი და ყორღანოვი.

რადგან მორიგ საქმეთა შორის არა იყო-რა ნამეტნავად საჩქაროდ განსახილველი, ამიტომ ხმ. ი. გ. მაჩაბელმა სთხოვა ქალაქის მოურავს, რომ გამგეობას მოეხსენებინა ისეთი თხოვნები, რომელთა განსახილველად საჭიროა 36 ხმოსანი და რომელნიც დიდი ხანია ელოდდებიან თავიანთს ჯერს.

თანხმად ამა წინადადებისა, კრებას მოჰხსენდა თხოვნები—სვიმონ კვაკვიძესი, აფრიამ ამირჯანოვისა, მღვდლის ბეგიჯანოვისა, ტერ-აკოფოვისა, მოსიაჩენკოსი, სერებრიანსკისა, პეტრუხინისა, ძამოაშვილისა და იაკობ ისარლოვისა. ამ თხოვნებში კრებამ შეიწყნარა ყველა, გარდა ძამოაშვილის თხოვნისა. ძამოაშვილს აუღია საქალაქო ადგილი ამ ოც-დაათის წლის წინად. უხდია დასაფასებელი ხარჯი. მას აქეთ სთხოვს საბჭოს—დამიმტკიცე ეს ადგილიო, ღირებულს ფულს გადვიხდიო, მაგრამ საბჭოს დღემდე უტარებია ეს კაცი და არ დაუმტკიცებია. ამ ბოლოს დროს მისულა მის ადგილზე სხვა კაცი, ზედ სახლი აუშენებია და ეხლა ედავება ქალაქს—აქაურობა არც შენია და არც ძამოშვილისა, ჩემიაო. გამგეობა სთხოვდა საბჭოს, რომ სამართლიანობა მოითხოვს მივცეთ ძამოაშვილს ისეთივე მიწა ახლო-მახლო ადგილებში და იმ გარეშე კაცს-კი დავა ავუტეხოთო. საბჭომ დაადგინა—ჯერ ნუ გადავწყვეტთ ამ თხოვნას, ვიდრე იმ სადავო მამულის საქმე არ გათავდებაო.

რადგან წარსულ კრებაზე ვერ ამოირჩიეს გამგეობის წევრთა კანდიდატები, ამიტომ ამ კრებაზე კვლავ დასახელებულ იქმნენ კანდიდატები—ბ-ნნი გ. წერეთელი და სავანელი. მაგრამ ბ-ნ სავანელის მამულზე აღმოჩნდა დარჩენილი ვალი დაფასებისა და იმიტომ ყუთი ვერ დაუდგეს. აგრეთვე ვალი აღმოჩნდა კნ. თუმანიშვილის მამულზედაც და რადგან ბ-ნი წერეთელი რწმუნებული იყო კნ. თუმანიშვილისა, ამიტომ ვერც იმას დაუდგეს ყუთი. ბოლოს უნდა ამოერჩიათ ერთი წევრი კომისიისა, რომელიც ადგენს ნიხრს პურისა და ხორცისას, ნაცვლად ხმ. ნ. ს. ფრიდონოვისა. ამორჩეულ იქმნა ხმ. ციციშვილი 34 კენჭით.

## კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება

თებერვლის 8 იყო მორიგი კრება საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც წაკითხულ იქმნა ბ-ნ ტარატინოვის მოხსენება: „რა ადგილი უჭირავს ამიერ კავკასიის სამეურნეო მცენარეთა შორის ბამბას“.

გარდა თამბაქოსიო, დაიწყო რეფერენტმა: რომელიც თხოულობს განსაკუთრებულს მოვლას, დანარჩენი მცენარენი დესეტინაზე შემდეგს ერთიანს შემოსავალს აძლევენ ჩვენს მეურნეთაო:

1) პური, ქერი და სიმინდი 60 მ.
2) იონჯა 70 მან.
3) ბოსტნეულობა 100 მან.
4) ბრინჯი და ბამბა ყველაზე დიდს შემოსავალს იძლევა, 140 მან. მაგრამ, რადგანაც ბამბას გარდა, ბამბის კურკასაც ფასი აქვს, 30 კაპ. ფუთზე, და ამ ერთის დესეტინის ბამბის მოსავალს 40—50 ფუთი კურკა გამოდის, ამიტომ ბამბა ამიერ კავკასიის მცენარეთა შორის ყველაზე შემოსავლიან მცენარედ უნდა ჩაითვალოსო.

ამასთანავე ბამბა ძლიერ ნაკლებს სარწყავს წყალსა თხოულობს და მით უფრო ძვირფასია აღმოსავლეთის კავკასიისათვის. ბამბა სიმინდზედაც ნაკლებ სინესტეს ჰსაჭიროებს თვით ნიადაგისას.

ბრინჯის მოყვანასაო, განაგრძო რეფერენტმა, —მეტად ბევრი წყალი სჭირდება, თითქმის მუდამ გუბე უნდა იდგეს ბრინჯის „ყანაში“. ამის გამო ჯერ ერთი რომ სარწყავი წყალი ცოტავდება და მეორეც დაგუბებული წყალი ლპება, ჭაობად იქცევა ხოლმე, ციებ-ცხელებას ავრცელებს გარემემო, მკვიდრთა შორის სიკვდილი ხშირდება. ბრინჯის ყანები ამასთანავე მშვენიერი ბუდეა კალიებისათვისაც, რომელიც დიდძალს კვერცხსა სდებს ამ გვარს ადგილებში და გაზაფხულზე გამოჩეკის შემდეგ ყოველსავე მცენარეს აოხრებს და ანადგურებს. ამ მიზეზების გამო საზღვარ გარედ, სადაც-კი ბრინჯის თესვას მისდევენ, მთავრობა სცდილობს ერთის მხრით შეამციროს მისი თესვა და მეორე მხრით ბრინჯი ათესვინოს სოფლების მოშორებით, ასე 6—7 ვერსის მანძილზე. ტარატინოვის აზრით, ბრინჯის თესვა რომ შევაცოტაოთ ამიერ კავკასიის აღმოსავლეთს გუბერნიებში, სხვა სარგებლობის გარდა, წყალიც მოგვემატებაო და ამის წყალობით შევიძლებთ ბამბა და სხვა სასარგებლო მცენარეები მოვიყვანოთ იმ მამულებზე, სადაც ამ ჟამად უწყლობის გამო არა-გვარი მცენარე არ ითესებაო.—ბრინჯის „პლანტაციების“ შეცოტავება მით უფრო ადვილიაო, დაუმატა რეფერენტმა,—რომ ამ ჟამად ჩვენში ბევრს ბრინჯს ხმარობენ, რადგან ბევრი მოჰყავთო. რაც შეეხება დასავლეთს საქართველოს, ესე იგი იმერეთსა და რაჭა-სამეგრელოს, ამ ადგილებისათვის ბამბას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ვენახები ხმება და ამ უბედურობით დაზარალებულ გლეხ-კაცობისათვის ბამბის მოყვანის გავრცელებას შეუძლიან ცოტაოდენი შეღავათი მისცეს. ბამბის მოყვანის ასაღორძინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ბამბის გაწმენდის გაიაფებასა და გაადვილებას ქუთაისის გუბერნიაში. ამ ჟამად რუსეთის ზოგიერთს გამოჩენილს მექარხნეს ჩითეულობისას განუზრახავს ბამბის გასაწმენდის მაშინების გამართვა და გავრცელება იმერეთში და აგრეთვე საუკეთესო თესლების უფასოდ დარიგებაცაო.

ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია:

ს. პ. ზელინსკი. საერთო შემოსავლის ანგარიშით შეუძლებელია დამტკიცდეს, რომელი მცენარე უფრო დიდ მოსავლიან მცენარედ უნდა ჩაითვალოს; აღმოსავლეთს კავკასიაში ამ ჟამად ბრინჯზე უფრო სასარგებლო მცენარე ჯერ სხვა მცენარე არ არის და ამიტომაც ბრინჯის პლანტაციები ვრცელდებაო. რაც შეეხება წყლის დაგუბების მავნე მოქმედებას, ეს ამბავი გაზვიადებულია, რადგანაც ვინც ბრინჯის თესვას მისდევენ, ზაფხულში მომთაბარობენ, მთა-ადგილებში იხიზნებიან.

ბრინჯის მოყვანას, გარდა ამისა, დიდი მოვლა და მუშაობა ზაფხულში არ უნდა და ბამბის მოყვანა-კი ბევრს მოვლასა თხოულობსო.

ჰეის-ფონ-ჰეისენგოფი. მართალია, წყლის დაგუბება ძლიერ მავნებელია, საჭიროა, რომ შევაცოტაოთ ბრინჯის ნათესობაო, მაგრამ ეს ძნელი საქმეა, რადგანაც ბრინჯის მოყვანა ამ ჟამად დიდს შემოსავალს აძლევს მკვიდრსაო. ამ გვარს გარემოებას ბევრგან იმით ებრძვიან, რომ დაგუბებული წყალი მოძრაობაში მოჰყავთ.

არ. ს. ფირალოვი. რაც შეეხება ამიერ კავკასიის აღმოსავლეთს ნაწილს, მე მგონია, რომ ბრინჯის ყანების შემცირება ძლიერ ძნელი საქმე იქნება, რადგანაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბრინჯის მოყვანას ხალხის ცხოვრებაში და შეცდომილი აზრია რეფერენტის ის აზრი, რომ ვითომ ჩვენში ბრინჯს იმიტომა ხმარობენ მეტსა, რომ ბევრსა სთესავენო. ჩემის აზრით, შეურყეველი საეკონომიო კანონია, რომ ბაზრის მოთხოვნილება იწვევს სხვა-და-სხვა მცენარის მოყვანას, და არა სხვა რამ გარემოება. რაც შეეხება ბამბის მო-

---

ნაკურთხია შემოქმედის ენა-პირით. ეს კუთხე უნდა იყოს სრული სამოთხე, მიწაზედ საგანგებოდ გაშენებული ჩვენს ქვეყანაში. აქ კაცი უნდა სცხოვრობდეს სრულის ნეტარებით, უნდა ედგეს თავზე შარავანდედი სულის სიმაღლე-სიამაყისა, მისი გონება უნდა ჰფრინავდეს მაღალ განათლების ფარდებში, მისს გულს უნდა მიუწვდებოდეს ყოველ განვითარებულს და გაფაქიზებულს გრძნობამდე, რაინდული ვაჟკაცობა და მოძმეთა სიყვარული უნდა ამშვენებდეს თავ-მომწონე გურულს. მისი სიმდიდრე უნდა სდუღდეს და გადმოდიოდეს, მისს აღებ-მიცემობას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყოველს ადგილს დედა-მიწის ზურგზე, მისი მრეწველობა და მეურნეობა უნდა იყოს აღორძინებული და განძლიერებული.

აი ყოველ ამისთვის არის მოწვეული ქვეყნად გურული კაცი, ყოველ ამისთვის ღმერთსა და ბუნებას დაულოცნია მისთვის გზა,—და რას ან ვისა ვხედავთ ნაცვლად ამისა? ხალხის შევიწროებას, სიღარიბეს და ყოველს ნაბიჯზე ფირალებსა და ავაზაკებს, ავაზაკებსა და ფირალებს! გაუმწვეტებია გურულს ხანჯალი, გაუყრია წელში სამი-ოთხი ფიშტო, გადუდვია მხარზე თოფი, აუღია ხელი სინიდისზე და ჩასაფრებულა შარა-გზაზე—ვნახოთ, რომელი მშვიდობიანი მგზავრი გამოივლის, რომ ვეცე და იქვე გავაქრო ორიოდე გროშის გულისთვისო. ნუ თუ ეს მასხარად აგდება არ არის ყოველ იმ სიკეთისა, რომელიც უხვად დაუბერტყია მდიდარს ბუნებას გურულის თავსა და პირზე! ნუ თუ ზემოთ-ჩამოთვლილს წყალობას ასეთი მოულოდნელი შედეგი უნდა მოეტანა ჩვენთვის და ყბად-ასაგდები გაეხადა ქართველი კაცი სხვათა თვალში?!..

* *

მერე, არ იკითხავთ, რა უნდა იყოს მიზეზი ასეთის დაუჯერებელ, საზიზღრო ამბისა? ჩვენის აზრით, აქა მუშაობს ერთად-ერთი მიზეზი ამ უბედურებისა და ეს მიზეზიც ის არის, რომ ქართველმა ხალხმა დაჰკარგა საზოგადოებური აზრი, დავიქსაქსენით აქეთ-იქით, ერთიერთმანეთისა აღარა გვესმის-რა, ერთის სურვილით აღარა ვართ გამსჭვალულნი. აღარც ისეთი რამ დაწესებულება გვაქვს, რომელსაც შეეძლოს ასწონ-დასწონოს ჩვენი ჭირი და ვარამი, ჩვენი ნაკლი და იღონოს შესაფერი ხაქვეყნო წამალი. ყველანი ჩვენ-ჩვენს სინაბარასა ვართ დატოვებულნი, და ხომ მოგეხსენებათ, რომ უპატრონო ეკკლესიასაცკი ეშმაკები დაეპატრონებიანო, და აქედამ რაღა გასაკვირველია, რომ გურიის პატრონობა მოუწადინებია ფირალს! თუკი ამ პატრონობას არა ჰკისრულობს არც ბერი, არც ერი, არც მღვდელი, არც ნასწავლი საზოგადოება, თუკი ყველა ამათ ყური მოუყრუებიათ, მოდი და მოითმინე, ფირალის გულო, მოდი და ნუ ინავარდებ, ავაზაკო!...

თან სავალალო ის არის, რომ ფირალებს ნიადაგი უპოვნიათ ჩვენის ხალხის გულში, ფირალის გაზვიადებულ ვაჟ-კაცობას გატაცებით მოგითხრობსთ მისი ნაცნობიცა და უცნობიც. თან ამ უკანასკნელს სატრაბახოდ მიაჩნია მოგონილი ამბავი მისის ვითომ დაახლოვებულის ურთიერთობისა ფირალთან. მიზეზიც ეს არის, რომ ჩვენს შემარცხვენელს, ქართველთა სახელის გამტეხს და წამპილწავს ფირალს თითქმის ყველგან ბინა აქვს ჩვენში და ნავარდობს.

მაგრამ განადირებულს ფირალს როგორ დაემდურება კაცი ამ ნავარდისათვის, როდესაც დღეს ამ გვარსავე სარბიელზე თოხარიკობენ თვით იმისთანა კაცებიც-კი, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ქვეყნიერობისა გაეგებათ რამ, დაუნახავთ ავიცა და კარგიც. მერე რა გარდუქმნიათ სახელმძღვანელოდ თავიანთს მოქმედებაში ამ ვაჟ-ბატონებს? ქვეყანა და მისი სამსახური? თქვენც არ მომიკვდეთ! ქვეყანა მათთვის იმდენად არის სატრფიალო, რამდენადაც მას მომეტებულს გამოჰრჩებიან, და ხალხიც იმდენად უყვართ, რამდენადაც უსიტყვოდ დაჰმორჩილდება იგი მათ და ხელშეუბრუნებლივ დაუთმობს თავისს ნაწვავ-ნადაგ, ნაჭირნახულევ სარჩო-საბადებელს, რამდენადაც ბრმად აჰყვება მათს საწადელს და გულუხვად მიართმევს საუკეთესო კერძს მათს გაუმაძღარს მადას.

ასეთი მადიანი ვაჟ-ბატონები თანდათანა მრავლდებიან ჩვენში, იპირებენ უვიც ხალხის გულს, იმის ძალითა და ღონით ძირს ამხობენ, რაც-კი ცოტაოდენი რამ სიკეთე და თვალის ჩინი შეჰრჩენია ჩვენს უბედურს ცხოვრებას, და აგერ სარბიელიც თითქმის იმათია დღეს!...

აი რა გახლავთ ჩვენი აწინდელი ჟამთა სიავე, რომელიც ითხოვს ყოველის მართალის ქართველისაგან დაუღალავს ბრძოლას...

სანო

ყვანას იმერეთში, ჩემის აზრით, რაკი ვენახები ხმება იქ ამ ჟამად, უკეთესი ამაზე მცენარე ჩვენ არ ვიცით, რომელსაც შეეძლოს, ცოტად თუ ბევრად, დააჯილდოვოს დაზარალებული გლეხკაცი.

შემდეგ საზოგადოებამ ამოარჩია კომისია ბამბის მოყვანის გამოსაცდელ სადგურების პროექტის შესადგენად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. კომისიის წევრად ამორჩეულ იქმნა ქალანთარი, ზელინსკი, სტაროსელსკი, ანდრონიკაშვილი, შავროვი და ფირალოვი.

---

## წერილები ქართლიდამ

(წერილი პირველი)

ქართლში ეხლა მარტო ერთი საგანი-ღა გვაქვს სალაპარაკო, სახელდობრ ისა, რომ სრულიად შესწყდა შესყიდვა გლეხთა მიერ ბატონებისაგან ნადელებისა. იმერეთში ეს საქმე ამ ორ-სამს წელიწადს სრულიად გათავდება, გლეხები მთავრობის დაუხმარებლივ იძენენ საკუთრებად ნადელებს. იქაურმა გლეხობამ თითქმის ხუთი-ექვსის მილიონის მამული შეისყიდა და ორჯელ- სამჯერ არ მიუმართავს მთავრობისთვის, დახმარება გამიწიე მამულების შეძენაშიო. ჩვენში-კი მთავრობა მზადაა დახმარება აღმოუჩინოს გლეხს, მაგრამ მაინც ეს საქმე წინ არ მიდის და ამ უკანასკნელს დროს სრულიადაც შესწყდა.

ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რომ გლეხებისთვისაც და თვით თავად-აზნაურობისათვისაც დიდად სასარგებლო იქნება მალე გათავდეს ნადელების დახსნის საქმე. დარწმუნებული ვართ, რაკი ჩვენი გლეხი მოსაკუთრე გახდება მამულისა, უფრო მეტის სიყვარულით, მეტის მუყაითობითა და ბეჯითობით იმუშავებს, შესცვლის მეურნეობას, გააშენებს ბაღ-ვენახებს, ერთის სიტყვით, არაფერს დაჰზოგავს, რომ საკუთარმა მამულმა მეტი შემოსავალი მისცეს, რადგან ეს შემოსავალი მარტო იმას დარჩება და სხვის ჯიბეში აღარ გადავა. ამ საქმის გათავება თავად-აზნაურობისთვის უფრო სასურველია და აი რათა: ჩვენი თავად-აზნაურობა მეტად დავალიანდა, აღარ იცის, როგორ გაუძლვეს კერძო კაცებისა და პრიკაზის ვალს. გლეხისაგან აღებული მეოთხედი იმდენს ვერ აძლევს, რომ სარგებელი პირ-ნათლად გაისტუმროს. მოგეხსენებათ, ყველა სოფლის ნაწარმოებს ეხლა ფასი თითქმის აღარა აქვს და, მაშასადამე, მეოთხედის საფასით ვალის სარგებლსაც-კი ვეღარ უძლვებიან. ნადელიკი რომ დაახსნევინოს გლეხს, მთავრობის დახმარებით, ერთბაშად იმოდენა ფული ჩაუვარდება ხელში, რომ შეიძლებს იმით ყველა ვალი მოიშოროს, დანარჩენი მამული განუთავისუფლდება ვალისა და ვახშისაგან და ამ გვარად შემამულე, წელში გასწორებული, უკეთესად წაიყვანს მეურნეობას.

მაშ რაღა უშლის საქმის დამთავრებას, როდესაც ორსავე მხრისათვის ასე სასარგებლოა ეს საქმე? ჩვენს გლეხს უყვარს მამულის საკუთრებად შეძენა, თავად-აზნაურისათვის ნაღდი ფულია საჭირო ვალის გასასტუმრებლად, მთავრობა სესხს აძლევს გლეხს, როცა ნადელს იხსნის მებატონისაგან, მაშ რა მიზეზი აბრკოლებს, რა უხუთავს სულს ნადელების შესყიდვის საქმეს? მიზეზს ბევრს ასახელებენ, მაგრამ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ჯერჯერობით ერთს გარემოებას. მთელს ქართლში იმას ლაპარაკობენ, რომ ამ საქმეს ხელს არ უწყობს და აძნელებს ტფილისის საგუბერნიო საკრებულო. ნადელის დახსნისათვის საჭიროა ხელ-შეკრულობის დადება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ ხელ-შეკრულობაში, კანონის ძალით (იხ. 9 П. 62 მუხლი наказа по выкуп. операціи), შესყიდულის მამულის საზღვრები დაწვრილებით უნდა იყოს ნაჩვენები და იმ გვარად აღნიშნული, რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი პოვნა.

საგუბერნიო საკრებულო ამას არ სჯერდება და თხოულობს, გეგმა წარმოადგინეთ გასასყიდის მამულისა; უამისოდ ხელ-შეკრულებას ვერ დავამტკიცებთო. ჯერ ერთი, რომ კანონი სრულიად არა თხოულობს გეგმის წარდგენას და მეორეც ისა, რომ ტრიალს მინდორზე სად იპოვნი იმისთანა საზღვარს ერთისა ან ორის დღიურისას, რომ ყველასათვის თვალ-სიჩინო იყოს. ამას გარდა, ვის შეუძლიან დასახსნელ მამულის გეგმის აღება. ამას იმდენი ხარჯი და წვალება უნდა, იმდენი ვაი-ვაგლახი და თავში ცემა უნდა გამოიარო, რომ ათასში ერთი თუ იკისრებს გეგმის აღებას; ყველასათვის ეს საქმე მოუხერხებელია. მცირე მამულიან მებატონისათვის გეგმის შედგენა საზარალოც-კი იქნება. მაგალითებრ, სამიოთხი კომლი გყავს სულა და გინდა შეასყიდვინო ნადელი. მთავრობისაგან იმდენი ფული არ გამოგივა, რომ გეგმის ხარჯი გაისტუმრო და ვინ იკისრებს, მამულიც სხვას დაუმტკიცოს და ზედ ფულიც დააყაროს თავის საკუთარის ჯიბიდამ.

როგორც ნათქვამიდამ დაინახავდა მკითხველი, ამ საქმის კეთილად გათავებას ხელს უშლის ერთის მხრით კანონის სიმკაცრე, შეუფერებელი ჩვენის ადგილობრივის ვითარებისა და მეორეს მხრით გადაჭარბებული მოთხოვნილება საგლეხო საკრებულოსი. არსებულს დაბრკოლებას რაღა მიმატება უნდა!

დასასრულ ამ წერილისა, ვისურვებთ, რომ საგუბერნიო ადმინისტრაციამ და განსაკუთრებით საგლეხო საქმეთა საკრებულომ მიიღოს მხედველობაში ჩვენი თავად-აზნაურობის გაჭირვებული მდგომარეობა და უარ-ჰყოს გეგმის მოთხოვნა, როგორც კანონისაგან არ ნაჩვენები, ხოლო, თუ ეს მოუხერხებელი იქნება, იღონოს სხვა ღონე და საშუალება და მისცეს ამ საქმეს ჯეროვანი მსვლელობა. უმაღლესი მთავრობა იმის ცდაშია, როგორმე დახმარება გაუწიოს თავად-აზნაურობის მიწათ-მფლობელობას და ნუ თუ აქვე, ჩვენ შორის, უბრალო უმნიშვნელო დაბრკოლებამ უნდა ხელი შეუშალოს და თავიდამ ვერ ავიცილოთ? ეს ძნელი დასაჯერებელია.

ა.—ლი

---

## რუსეთი

კიდევ მენდელეევის ლექციის შესახებ

დასასრულ თავისის ლექციისა აი რა სთქვა ბ-ნმა მენდელეევმა: „იმისთანა საქონლის შესახებ, რომელიც სასმელ-საჭმელად არ იხმარება, მაგალითად, ნავთისა, ქვის ნახშირისა, ლითონებისა და სხვ. ცნობები ძლიერ ნაკლებადაა შეკრებილი. დავიწყოთ ნავთიდგან. ნავთი რუსეთში ერთი შვიდად იმაზე მეტი მზადდება, რაც პროპოციითა ჰხვდება: მთელს დედამიწაზე მზადდება სულ 500 მილიონი ფუთი და მარტო რუსეთში-კი 250 მილიონი ფუთი. ოქროც კიდევ, მთელს დედა-მიწაზე წელიწადში შოულობენ 10,000 ფუთს; რუსეთს უნდა ეშოვნა 700 ფუთი, მაგრამ შოულობს 2,000 ფუთს ე. ი. სამჯერ მეტს... სელსა და კანაფსაც რუსეთი გაცილებით იმაზე მეტს აწარმოებს, რაც პროპორციით წილი ჰხვდება. სელი და კანაფი სულ 120 მილიონი ფუთი მოჰყავთ, მარტო რუსეთში-კი 28 მილიონი ფუთი.

ახლა ვიკითხოთ, რა მიზეზია, რომ რუსეთი საეკონომიო მხრით ჩამორჩა იმისთანა ქვეყნებს, როგორიც, მაგალითად, ინგლისია. აქ მიზეზი ის გახლავთ, რომ, გარდა ჩემ მიერ ჩამოთვლილისა, ბევრი იმგვარი დარგიცაა მრეწველობისა, რომელსაც ძლიერ ნაკლებადა აქვს რუსეთში ფეხი მოკიდებული. აი თუნდა ქვის ნახშირის საქმე ავიღოთ. დედამიწაზე წელიწადში 30,000 მილიონს ფუთზე ნაკლები არ იღება მიწიდგან, რუსეთს აქედგან 2,100 მილიონი ფუთი ჰხვდება პროპორციით, მაგრამ ნამდვილად 400 მილიონს ფუთზე მეტს-კი ვერ იღებს ე. ი. ქვის ნახშირის წარმოება რუსეთში ერთი ხუთად ნაკლებია საშუალოზედ. თუჯის საქმეც თითქმის ასევეა. მთელს დედამიწაზედ თუჯი მზადდება 1,700 მილიონი ფუთი, რუსეთში-კი მზადდება 45 მილონი ფუთი (119 მილიონის მაგიერ). დანარჩენი სხვა-და-სხვა გვარი ლითონიც საერთოდ რვა ჯერ ნაკლები მზადდება და იშოვება რუსეთში საშუალოზედ.

ჩემ მიერ მოყვანილი ცნობანი ამტკიცებენ, რომ რუსეთის მრეწველობა ვერა სწვდება საშუალო მსოფლიო წარმოებას და ვერც აღემატება. გათანასწორებაც შემდეგ მიზეზთა გამო არ შეიძლება. პირვანდელი წარმოება მსოფლიოსი მხოლოდ საქონლის მოშენება იყო, შემდეგ მიწად-მოქმედებაც მიემატა. ბოლოს მიწიდგან ლითონების ამოღებაც დაიწყეს. ჩვენი დრო ისეთი დროა, რომ მრეწველობა უმთავრესად მადნებზეა დამყარებული და რუსეთიც წსორედ ამ მხრივ არის უკან ჩამორჩენილი. ჩვენ, რუსებს, კარგადა გვაქვს შეგნებული მნიშვნელობა საქონლის მოშენებისა და მიწად-მოქმედებისა, მაგრამ ლითონისა და ქვის ნახშირის მნიშვნელობა ჯერ რიგიანად ვერ შევიგნია, როგორც საქმიდგანა სჩანს. უსაჭმლოდ კაცებს ორმოც-სამოცი დღე გაუძლიათ, მაგრამ უწყლოდ-კი ვერც 10—12-დღე. კაცისთვის საჭიროა არა მარტო ცხოველები, არამედ მიწიდგან ამონაღები მადანიც და წყალიც ხომ მადანივით მიწიდგან ამოდის. კაცი უჰაეროდა და უენერგიოდ ვერ გასძლებს. დიაღ, რუსეთი იმგვარის მრეწველობით არის უკან ჩამორჩენილი, რომელიც ახალის დროის ნაყოფია.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ საჭმელს მხოლოდ 15—18% უნდება იმ საფასურისა, რაც წარმოებასა და ხარჯვაზე მიდის, მაშინ ადვილად შევიგნებთ, რომ კაცისთვის, პურს გარდა, სხვაც ბევრი რამა ყოფილა საჭირო დაწყებული ქვის ნახშირისა და რკინიდგან. თვით პურის ფასის მეტ-ნაკლებობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რკინასა და ქვის ნახშირს. ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში რკინის წყალობით პური უფრო იაფია, ვიდრე ჩვენში, მიუხედავად იმისაც-კი, რომ იქ კაცის შრომა უფრო ძვირადა ფასობს. მცხოვრებთა რიცხვი ამერიკისა ჩვენისაზე ორჯელ ნაკლებია, მაგრამ პური-კი ორჯელ მეტი მოჰყავთ. თუ ამ მხრით შევადარეთ ჩვენი ყოფა ამერიკისას, აღმოჩნდება, რომ ამერიკის კეთილდღეობის მიზეზი უკეთესი ჰავა-კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ მადნების მუშაობას მიჰყვეს ხელი.

ჩვენ პური-კი არ გვაკლია, არამედ წეს-რიგი მუშაობისა. რომაელები რომ იძახოდნენ „პური და სეირიო“, ჩვენ უნდა ამის მაგიერ ვითხოვოთ „სამუშაო და საშოვარი“. პურის გამოკიდება ყოველთვის ვერ მოგვცემს საშოვარსა, მაგალითად, ზამთრობით. მაგრამ აბა მადნებში მიბრძანდით—იქ ნიადაგ ზაფხულია!

და აი სწორედ ეხლა, როდესაც აღმოჩნდა, რომ კეთილ-დღეობა მარტო ჰურზე არა ყოფილა დამოკიდებული, რუსეთმა არც სასოფლო მეურნეობაზე უნდა აიღოს ხელი, არამედ უნდა უფრო განაკარგოს კიდეც და ამავე დროს უნდა დანერგოს აგრეთვე სხვა-და-სხვა დარგიც მრეწველობისა. აი, ამ გზით წარიმატებს და მიაღწევს კეთილ-დღეობას ჩვენი სამშობლო.

მესამოცე წლებში ლექცია წავიკითხე და ვსთქვიო—მოიხსენია მენდელეევმა: დაგვიდგება დრო, რომ ნავთს, სხვაგნიდგან მოტანის მაგიერ, ჩვენიდგან წაიღებენ. მაშინ დამცინეს კიდეც ამის გამო. მაგრამ აი, მე ისევ ცოცხალი ვარ და ვიცი, რომ შარშან-წინ რუსეთიდგან საზღვარ გარედ 48 მილიონი ფუთი ნავთის სხვა-და-სხვა ნაწარმოები წაიღეს.

ჩვენ შეგვიძლიან ასევე სხვა გვარი წარმოებაც განვაკარგოთ,მაგალითად, წარმოება ქვის ნახშირისა და რკინისა, რომელიც რუსეთში აუარებელი მოიპოვება. მაშასადამე, გვქონია საწარმოებელი საგანი, რომელსაც შეიძლება მოვახმაროთ შრომა!

მხოლოდ საჭიროა, რომ რუსეთი მიწად-მოქმედებაზე, ხვნა-თესვაზე არ შეჩერდეს და იმგვარს მრეწველობასაც მოჰკიდოს ხელი, რომლის ბედი და იღბალი დარსა და უდარობაზე არ არის დამოკიდებული. თუ ასე მოიქცა და თავისი სიმდიდრე გამოიყენა რუსეთმა, მაშინ შეიძლება მეტოქობაც გაუწიოს ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებს პურით ვაჭრობაში, მაშინ თვით რუსეთშიაც მოითხოვენ სხვა-და-სხვა გვარს საქონელს: რუსეთი დიდ ბაზრად გადაიქცევა და აუარებელს ხალხს დააკმაყოფილებს!

---

## უცხოეთი

გერმანია. ამ უკანასკნელს დროს გერმანიაში საზოგადოება ძალიან დიდს ყურადღებას აქცევს დედათა უნივერსიტეტებში განათლების საქმეს. როგორც ეტყობა, განსაკუთრებულ დაწესებულებათ, რომელთაც აზრად აქვთ დედათა განათლების საქმეს დაეხმარნენ როგორმე, თავისი ნაყოფი მოაქვთ. ამ გარემოებას მეტადრე ისიც უმართავს ხელს, რომ შუათანა შეძლების ხალხი, ინტელიგენცია, არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მუშაობას არის იძულებული. მოხელე, მასწავლებელი, ან ექიმი, რომელთაც ღვთის წყალობით რამდენიმე შვილი ჰღირსებიათ, თანდათან ჰკარგავენ იმედს, რომ თავისი ქალიშვილები გაათხოვონ და დააბინაონ როგორმე. ეხლა ქალიშვილი სწორედ ტვირთად აწვება მშობელს მამასაცა და თავისს თავსაც, მაგრამ რა ჰქნას, სად იშოვნოს სამუშაო და ხელ-საქმე? მასწავლებელი-ქალები, ტელეგრაფისა და ტელეფონის სადგურებზე მოსამსახურე ქალები ისე გამრავლდნენ, რომ თითო ადგილზედ, სულ ცოტა, ასი კანდიდატი იქნება. ნოქრად ვერ გაჰგზავნის ყველა თავისს ქალს, არ გამოიმეტებს, და, ესეც არ იყოს, მეტად სამძიმო და ადამიანის დამამცირებელს შრომას არც იმდენად საფარსაგო ხეირი მოსდევს. ზოგიერთი განათლებული, კარგის ოჯახისა და შთამომავლობის ქალი თითქმის ღამეებსა სტეხავს და საკერავში იწყალებს თვალებს, ოღონდ-კი მამას არ დააწვეს ტვირთადაო. აშკარაა, როცა საქმე ამ გარემოებასა და ასეთს ვითარებაშია, ქალები სულითა და გულით უნდა ეტანებოდნენ უმაღლესის განათლების შეძენას. პირველად უნივერსიტეტში შესვლას ვერც ვერავინა ჰბედავდა და არც გზა ჰქონდათ თავისუფალი, მაგრამ ეხლა-კი ეს სოციალური საგანი ისე გამწვავდა, რომ ასე თუ ისე, როგორმე უნდა გადაწყდეს.

ამ რამდენისამე ხნის წინად, მაგალითებრ, ლეიპციგის უნივერსიტეტი დიდი წინააღმდეგი იყო ქალებისათვის ნება მიეცა თავისს ზღუდეთა შორის სწავლისა, მაგრამ ეხლა ამ უნივერსიტეტის აუდიტორიასა და ლაბორატორიებში 20-მდე ქალია. ეხლა ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის ბუნების-მეტყველების ფაკულტეტზედაც შეჰხვდებით ქალებს. ამ უნივერსიტეტმა პირველში დაადგინა, რომ ქალები მივიღოთ ხოლმე უნივერსიტეტშიო, შემდეგ ეს დადგენილება უნივერსიტეტის საბჭომ არ შეიწყნარა, მაგრამ საერო განათლების სამინისტრო ქალების განათლებას მიემხრო და ამ გვარად კეთილად გადაწყდა ეს საქმე. ამის შესახებვე ამას წინად დიდი სჯა და კამათი ჰქონდა ბადენის დეპუტატთა პალატას.

ეს სჯა და კამათი ვეიმარში არსებულმა დედათა საზოგადოების „Reform“-ის პეტიციამ გამოიწვია. ეს საზოგადოება შუამდგომელობდა, რომ ან ნება დაგვრთეთ დედათა გიმნაზიები დავაარსოთ სწორედ ისეთისავე პროგრამისა, როგორიც ვაჟებისაა, და ან ქალებსაც მიეცეს ნება სავაჟო გიმნაზიებში დაიჭირონ უკანასკნელი ეგზამენი და მოწმობა მიიღონ ხოლმე სწავლის დამთავრებისაო. ეს საგანი კომისიასა ჰქონდა მინდობილი განსახილველად და კრებას ვითარება საქმისა კომისიის ერთმა წევრთაგანმა, დ—მა შლუსსერმა მოახსენა. ხუთ მუხლად განიყოფება კომისიის დადგენილება:

ა) დედათა ეს სურვილი, რომ უფრო გაიფართოვონ სამოქმედო ასპარეზი, მეტადრე ისეთი საქმე გაიჩინონ, რომლისათვისაც უმაღლესის სწავლის მიღებაა საჭირო, სამარ-

თლიანია და ერთის მხრით შესასრულებელიც.

ბ) ქალებს სულ არ უნდა მიეცეთ შეღავათი კაცებთან შედარებით და განსაკუთრებით არ უნდა იქმნენ განთავისუფლებულნი იმ მოთხოვნილებისაგან, რომ გიმნაზიის მოწმობა იქონიონ უნივერსიტეტში შესვლის უფლების მოსაპოვებლადაო.

გ) გერმანელს ქალებს შეუძლიანთ სწავლის დამთავრების მოწმობის მისაღებად სავაჟო გიმნაზიებში დაიჭირონ ეგზამენი. კომისიას ჯერ-ჯერობით მოუხერხებლად მიაჩნია, რომ ან განსაკუთრებული დედათა გიმნაზია დაარსდეს და ან ქალებს სავაჟო გიმნაზიებში სწავლის ნება მიეცეს.

დ) ქალებს შეიძლება ნება მიეცეს უნივერსიტეტებში ლექციების მოსმენისა, მაგრამ კანონად-კი არ დაიდოს ეს წესი და, ამას გარდა, ყოველმა უნივერსიტეტში შემსვლელმა ქალმა ფაკულტეტისაგან ნება-რთვა უნდა აიღოს. უნივერსიტეტში შესვლის ნება მიეცემათ მხოლოდ გერმანელს ქალებს და გიმნაზიაში სწავლის დამთავრების მოწმობის მქონეთ.

ე) მთავრობას უნდა ეთხოვოს, რომ შემდეგისათვისაც თვალ-ყური ადევნოს სასურველს გარემოებას დედათა განათლების საქმის განვითარებისას.

კომისიის წევრნი უმეტესად ნაციონალ-ლიბერალები იყვნენ. კლერიკალები, რომელნიც ბადენში ლიბერალებზედ ცოტა ნაკლებნი არიან, რაღა თქმა უნდა, წინააღმდეგნი იყვნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქალის დანიშნულება ოჯახი და საოჯახო ხელ-საქმეაო. „მე ის მაკვირვებსო, დაიცინებოდა ერთი იმათი დეპუტატთაგანი: რატომ იმას-კი არა გვთხოვენ, რომ ქალებს სალვთის-მეტყველო ფაკულტეტზედაც მივცეთ სწავლის ნებაო?“ კლერიკალების წინააღმდეგ ილაპარაკა დემოკრატების დეპუტატმა მუზერმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ პალატამ უფრო მეტი უფლებანი უნდა მიანიჭოს ქალებს სწავლის მხრივ, ვიდრე კომისიამ მიანიჭაო. ეს უფლებაა დედათა და არავის ეგონოს, ვითომ ისინი ჩვენგან მოწყალებასა თხოულობდნენო. რაც შეეხება მთავრობას, რამდენადაც ეტყობა, იგი თანაგრძნობით ეკიდება დედათა სურვილს. „რამდენადაც ჩვენგან იყო დამოკიდებულიო, სთქვა მთავრობის მხრივ დ—რმა არნშპერგერმა: ჩვენ ქალებს უნივერსიტეტში შესვლა შევუმსუბუქეთ, თუმცა პროფესორები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ მაინც-კი ერთი გარემოებაა, რომელიც ხელს გვიშლის, რომ უფრო მეტი თანაგრძნობა აღმოვუჩინოთ ქალებს. ეს გარემოება იმპერიის კანონმდებლობაა, რომელიც ქალებს ნებას არ აძლევს, ზოგიერთს ხელობას მოჰკიდონ ხელი და მათ შორის ექიმობასაცაო“.

## წვრილი ამბავი

„Wiener Medicinische Blätter“ დაბეჭდილია წერილი რუდოლფ ლესნერისა სიმელოტის შესახებ. სიმელოტეო, სწერს ლესნერი: განათლებულს საზოგადოებაში უფრო ხშირია, ვიდრე გლეხკაცობაში. ამის მიზეზი ის არისო, ამბობს ლესნერი, რომ სოფლებში თითქმის არავითარს ყურადღებას არ აქცევენ თმებს, ძლიერ იშვიათად იკრეჭენ და ცხელის მაშით არ იხუჭუჭებენ. ცხელის მაშით თმების დახუჭუჭება ძლიერ ცუდია, თმა იმტვრევა და ცვივდება ადამიანს. სიმელოტე უფრო მამაკაცთა თვისებაა. დედაკაცებში 30—40 წლისანებს ჯერ ისევ მშვენიერი თმა აქვთ, მამაკაცო-კი ამ წლებში სიმელოტე ეწვევათ ხოლმე. საყურადღებოა კიდევ, რომ ვინც გრძელს თმას იყენებს და მოკლედ არ იკრეჭს, სიმელოტე არ ემართება. მხატვართა შორის, მაგალითად, რომლებიც გრძელს თმას იყენებენ, ძნელად შეხვდებით მელოტს კაცსა. ეტყობა, გრძელის თმის დაყენება უფრო კარგი ყოფილა, ვიდრე მოკლედ გაკრეჭა.

მეორე მიზეზი სიმელოტისა დალაქხანების უსუფთაობაა. დალაქხანებში ერთისა და იმავე სავარცხლით ათასს კაცს უვარცხნიან თმასა. სიმელოტე მარტო იმიტომ-კი არ არის ცუდი, რომ ადამიანს აუშნოებს, ცუდი უფრო ის არის, რომ მელოტს კაცს ადვილად შესცივა თავზე, განსაკუთრებით ზამთარში და ამის გამო ხშირად შაკიკი და თავის ტკივილი აუვარდება. ვისაც თმის ჩამოსვლისა ეშინიან, ცხელის მაშით დახუჭუჭებას უნდა ერიდოს, თმა გრძლად დაიყენოს და სხვის სავარცხელი არ იხმაროს. სიმელოტის მიზეზი კიდევ ბევრი სხვაც არისო, ამბობს ლესნერი, მაგალითად ზოგიერთი ავადმყოფობა და განსაკუთრებით სახადიო.

— გამოჩენილს მეცნიერს ედისონს კიდევ ერთი ახალი და ძლიერ შესანიშნავი მანქანა მოუგონია. ეს მანქანა ტელეგრაფია, მაგრამ ახალი და უცნაური. ედისონი ამტკიცებს, რომ დეპეშის გადაცემა შეიძლება უმავთულოდ, მარტო ინდუქციის ძალითაო. ამისთვის საჭიროა, რომ ელექტრონული ძალა ისეთს სიმაღლეზედ ამოქმედოს კაცმა, რომ დედამიწამ ვერ მიიზიდოს ეს ძალა. ამ გვარს ტელეგრაფს დიდი მნიშვნელობა ექმნება განსაკუთრებით ზღვაში მოგზაურობისთვის. საკმარისია, რომ გემზედ ეს ახალი მანქანა და მორზის აპარატი იქონიონ და შესაძლებელია, რომ გემიდგან დეპეშით შეატყობინონ, რაც საჭირო იქნება, სხვა გემებს და ზღვის ნაპირზედ მცხოვრებლებს. წარმოიდგინეთ, მაგალითად, რომ გემი იღუპება. მაშინვე დეპეშით აცნობებს ერთ-ერთს გემს, თუ გინდ ეს გემი 500 ვერსის სიშორეზედაც იყოს, და ისიც მიეშველება, ანუ თუ თითონ შველა არ შეუძლიან, სხვა უფრო მახლობელს გემს შეატყობინებს ამ უბედურებას. გადარჩენილს მგზავრებს, ამ ახალის მანქანის წყალობით, შეუძლიანთ თავიანთი გადარჩენის ამბავი ხმელეთზედ მყოფ ნათესავთა და ნაცნობთ შეატყობინონ. თითონ ედისონი და ბევრი სხვაც დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ახალი ტელეგრაფი დიდს სარგებლობას მოუტანს მთელს ქვეყანასაო.

## დეპეშა

10 თებერვალი

**ფილადელფია.** სვალ გაემგზავრება ლიბავაში გემი „ინდიანა“, რომელსაც რუსეთის დამშეულთათვის მიაქვს 29,839 ტომარა და 65 ბოჩკა ფქვილი.

**ვენა.** იმპერატორმა სეფე სიტყვა წარმოსთქვა და ამით დაიწყო ვენგრიის სეიმის მოქმედება. სეიმს წარედგინება კანონ პროექტები განსაკარგებლად ვალიუტასი და ცვლილების მოსახდენად სახელმწიფო ხარჯის აკრებაში. სეფე სიტყვა შინაურ საქმეთა ცვლილებას შეეხება, განსაკუთრებით-კი საადმინისტრაციო ცვლილებას. სეფე სიტყვის დასასრულს იმპერატორმა სთქვა, ვისურვებ, რომ სეიმმა ისარგებლოს ამ მშვიდობიანობით და შინაურს საქმეებში ცვლილება მოახდინოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 7 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 09 | 8, 12 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 162 | $162\frac{1}{2}$ | — ,, |
| ძანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 16 | 1, 18 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | $235\frac{3}{4}$ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | $224\frac{3}{4}$ |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 198 | — ,, | 200 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | $102\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | $102\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


# განცხადებანი

წევრნი კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა მიწვეულნი არიან მორიგს კრებაზე ხუთშაბათს, 13 თებერვალს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე.

განსახილველი საგნები:

ა) მორიგი საქმეები.

ბ) ი. ი. წინამძღვრიშვილის მოხსენება. „Объ установленіи непрерывной связи между обществомъ сельскаго хозяйства и населеніемъ края и о средствахъ къ поднятію и улучшенію сельскаго хозяйства“.

ვ) მოხსენება ვ. ა. სტაროსელსკისა: „Объ американской лозѣ“.

კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

## ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამ თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ი ვ ე რ ი ა“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50 ,, | 5 ,, | 5 ,, 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, 75 ,, | 4 ,, | 4 ,, 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, — ,, | 3 ,, | 3 ,, 50 ,, |
| 8 ,, | 7 ,, 25 ,, | 2 ,, | 2 ,, 75 ,, |
| 7 ,, | 6 ,, 50 ,, | 1 ,, | 1 ,, 50 ,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| კედლის კალენდარი 1892 წ. მრავალის ცნობებით | „ | 40 |
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა | 1 | 20 |
| იგივე, ყდით | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „ | 80 |
| იგივე, მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. ალნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| იგივე, ყდით | „ | 75 |
| ბნელო, მოთხრობა მელანიასი (პსევდონიმი) | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი შედგ. ვ. გუნიას-მიერ | „ | 45 |
| სახალხო კალენდარი მისივე | „ | 10 |
| უბის წიგნი (მშვენიერის ყდით) მისივე | „ | 40 |
| მაცი ხვიტია, მოთხ. ან. ფურცელაძისა. | „ | 50 |
| ამპარტავანი გიორგი. თარგ. ილ. ფერაძისა | „ | 5 |
| კრილოვის არაკები, აკაკისა. | „ | 30 |
| დ. ბაქრაძე, ბიოგრაფიული წერილი | „ | 20 |
| „ცდა“ III წ. | „ | 50 |
| „სამი კომედია“ ავქ. ცაგარლისა | „ | 60 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა | „ | 25 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| სამი ცელქი, შ. მღვიმელისა | „ | 20 |
| ძუნწი, მისივე | „ | 13 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 11-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.